ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო სხდომის ოქმი #12

12.02.2018

2018 წლის 12 თებერვალს გაიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეთორმეტე შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრი დელეგატების უმრავლესობა და მოწვეული სტუმრები-ექსპერტები. შეხვედრას უძღვებოდა ბ-ნი პავლე თვალიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. სხდომის გასხნა - ბ-ნი პავლე თვალიაშვილი
2. ეთიკის კოდექსის წარდგენა, განხილვა-დებატები
3. შეხვედრა საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურის წარმომადგენელთან, 2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის მონაცემების წარდგენა-პრეზენტაცია
4. სხდომის შეჯამება.

საბჭოს მორიგი სხდომა გახსნა ბ-ნმა პავლე თვალიაშვილმა. მან დელეგატებს მიმართა და გააცნო დღის წესრიგი.

12 თებერვლის საბჭოს სხდომაზე დელეგატებმა მერიის ეთიკის კოდექსის პირველადი დასამუშავებელი ვერსია წარადგინეს. გაიმართა მსჯელობა და დებატები. კოდექსის შემუშავებისთვის გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

სხდომაში აქტიურად მონაწილეობდნენ მოწვეული ექსპერტებიც. ისინი სამუშაო ჯგუფებთან ერთად განიხილავდნენ კოდექსში ჩასაწერ დეტალებს, უზიარებდნენ ცოდნასა და გამოცდილებას. სამუშაო ჯგუფებმა საბჭოს წინაშე წარადგინეს პირველადი სახე კოდექსის, მოხდა შესწორებები და განსახილველად კვლავ ჩაინიშნა შემდეგი სხდომისათვის.

შეხვედრის მეორე ნაწილში დელეგატებმა მოისმინეს და განიხილეს 2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის ხარჯვითი და შემოსავლითი ნაწილის მონაცემები. ყურადღება გამახვილდა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე: მედიკამენტებით მკურნალობის ინდივიდუალური პროგრამა; სამედიცინო ხარჯების დაფინანსება, ვაუჩერიზაცია 100 ლარის ოდენობით; მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა; ახალგაზრდული ცენტრის დაფინანსება და ხელშეწყობა და სხვ.

მოხდა ბიუჯეტის საკითხების ჩაშლა თემატური ჯგუფების მიხედვით და კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირება. შემდეგი შეხვედრისათვის დასკვნითი რეკომენდაციების მომზადება დაევალა: 1) განათლების ჯგუფს; 2) ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა ჯგუფს; 3) ინფრასტრუქტურის ჯგუფს; 4) სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა ჯგუფს.

სხდომის დასასრულს ბ-ნმა პავლე თვალიაშვილმა შეაჯამა შეხვედრა და საბჭოს შემდეგი სხდომა ჩაინიშნა 2018 წლის 19 თებერვალს საღამოს 19:00 საათზე.

საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

ქ. რუსთაავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომა N12

12 თებერვალი 2018

ელგუჯა ღვინიაშვილი	
ლეილა ჩიქვილაძე	
მარინა კვიციანი	
ამირან მეგრელი	
ლელა კეთილაძე	
ნუკრი რამიშვილი	
თემურ შაფათავა	
გვანცა მასტერენკო	
გვარამაძე მარინა	
ტუქსიშვილი მარიკა	
ნინო ნადირაძე	
მალხაზ რაზმაძე	
ფიქრია ბირთველიშვილი	
გივი ჩხაიძე	
რეზო ბერაძე	
სოფო კონჭოშვილი	
ინგა ჯიჯლავა	
რამაზი შალიკაშვილი	
გურამი სხილაძე	
ლია კობახიძე	